

## თავი 5 სანთლები და ქურქები

ჯონათანმა სასოწარკვეთილ დედა-შვილთან ერთად ნათესავის სახლამდე რამდენიმე მილი გაიარა. დამშვიდობებისას მათ გულითადი მადლობა გადაუხადეს და სახლშიც მიიპატიუეს. თუმცა ჯონათანი ერთი შეხედვითაც მიხვდა, რომ სახლი ძლივს დაიტევდა ამხელა ოჯახს. ამიტომ მოიბოდიშა და გზის გაგრძელება ამჯობინა.

მალე ის მდინარეს მიუახლოვდა, რომელზედაც ხიდი იყო გადებული. მეორე ნაპირზე კედლით გარშემორტყმული ქალაქი ჩანდა. ვიწრო ხიდი ორად იყოფოდა. ხიდის მარჯვენა მხარეს იდგა ქალაქის გზის მაჩვენებელი წარწერით: „შესასვლელი ქალაქ სტუტაში, კორუმპოს კუნძული“. ხოლო მეორე მხარეს ნიშნულზე შემდეგი სიტყვები ეწერა – „გასასვლელი. შესვლა აკრძალულია“.

მაგრამ ეს ხიდის ერთადერთი უცნაური თავისებურება არ იყო. ქალაქში შესადგევად უამრავი დაბრკოლების გადალახვა იყო საჭირო. ხიდის თავი ბასრი ლოდებითა და მასიური რიყის ქვებით იყო ჩახერგილი. ზოგ მგზავრს ბარგი იქვე დაეგდო ან მდინარეში გადაეყარა, რათა უფრო ადვილად გადაეღებინა კლდოვანი ბარიერი. სხვები კი, განსაკუთრებით მოხუცები, უკან ბრუნდებოდნენ. ერთ-ერთი დაქანცული მგზავრის უკან ჯონათანმა ნაცნობი ყურჩამოგლეჯილი ყვითელზოლები კატა შენიშნა, რომელიც მიტოვებულ ფუთას სუნავდა და თათით რადაციის ამოთრევას ცდილობდა. ბოლოს, კატამ ფუთიდან ხმელი ხორცის ნაჭერი ამოიღო.

ხიდის თავისგან განსხვავებით, მისი ბოლო სწორი და სუფთა იყო. ვაჭრები, რომლებიც საქონელს ეზიდებოდნენ, თავისუფლად ტოვებდნენ ქალაქს.

ნეტავ რატომ არის ასე რთული აქ მოხვედრა და ასეთი იოლი აქედან დაღწევა? – ფიქრობდა ჯონათანი.

მან ქვებზე აცოცება სცადა. რამდენიმეჯერ ფეხი აუსხლტა, მაგრამ რიყის ქვებს ჩაებლაუჭა და დაბრკოლება გადალახა. ბოლოს, იგი ხის ფართოდ გადებულ კარიბჭეს მიუახლოვდა. ეს ქალაქში შესასვლელი იყო, სადაც უამრავ ხალხს მოეყარა თავი. ზოგი ცხენს მიაჭენებდა, ზოგი კი ოთხთავალაზე თუ ურიკაზე დაწყობილ ყუთებსა და ფუთებს ეზიდებოდა – ყველა ქალაქში მიემართებოდა. ჯონათანი წელში გაიმართა, შარვალი და პერანგი გაიფერთხა და კარიბჭეში შეაბიჯა. კატა კვალდაკვალ მიჰყვა მას.

ქალაქში შესვლისთანავე ჯონათანი ქალბატონს წააწყდა, რომელიც პატარა მზინავი მედალიონებით სავსე მაგიდასთან იჯდა. მას ხელში დახვეული პერგამენტი ეჭირა.

– გთხოვთ, ხელი მოაწეროთ ჩემს პეტიციას, – მიმართა თხოვნით ქალმა, ღიმილით დააჯილდოვა ჯონათანი და წინ წამოიწია, რათა მისთვის პერანგის ჯიბეზე მედალიონი მიემარებინა.

რა გითხრათ?... არ ვიცი... – წაიღულღულა ჯონათანმა – უბრალოდ მაინტერესებდა, ქალაქის ცენტრში როგორ მოვხვდე.

ქალმა ეჭვის თვალით შეხედა ჯონათანს.

– ქალაქში პირველად ხართ?

ჯონათანმა ქალის გულგრილობა იგრძნო და შეყოყმანდა. მერე კი სწრაფად თქვა:

– მაშ, სად უნდა მოვაწერო ხელი თქვენს პეტიციას?

ქალმა ისევ გაიღიმა:

– აი აქ, სიის ბოლოს. ვერ წარმოიდგენთ, რამდენ ადამიანს ეხმარებით ამით.

ჯონათანმა მხრები აიჩეჩა და კალამი აიღო. მას შეეცოდა საბრალო ქალბატონი, რომელიც ასეთ მზიან დარში თბილ ტანსაცმელში შეფუთულიყო და ოფლად იღვრებოდა.

– რა პეტიციაა? – იკითხა ჯონათანმა.

ქალმა ხელები გულზე ისე დაიკრიფა, თითქოს სოლო უნდა შეესრულებინა:

– ეს პეტიცია სამუშაო ადგილებსა და წარმოებას იცავს. თქვენც ხომ ამის მომხრე ხართ, არა? – თითქმის ვედრებით თქვა ქალმა.

– რასაკვირველია, ვარ, – თქვა ჯონათანმა და უცებ ის მარჯვე ქალი გაახსენდა, რომელიც ხის წასაქცევი ახალი მეთოდის გამოგონებისთვის დააპატიმრეს. ჯონათანს ნამდვილად არ უნდოდა ვინმეს ეფიქრა, რომ დასაქმების პრობლემას არად დაგიდევდათ.

– ეს მათ როგორ დაეხმარება? – იკითხა მან და ხელი ისე მოაწერა, მისი ამოკითხვა თითქმის შეუძლებელი იქნებოდა.

– ლორდთა საბჭო ადგილობრივ წარმოებას იმპორტირებულ საქონელთან ბრძოლით იცავს. როგორც ხედავთ, გარკვეულ წარმატებას უკვე მივაღწიეთ, როდესაც ხიდი ჩაეხერგეთ. მაგრამ ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი. საკმარის ხელმოწერებს თუ შევაგროვებ, საბჭო მპირდება, რომ უცხო ქვეყნებიდან შემოტანილ იმ საქონელს აკრძალავს, რომელიც ჩემს წარმოებას შეუქმნის საფრთხეს.

– რას აწარმოებთ?

– მე სანთლებისა და ქურქების მწარმოებელთა ინტერესებს ვიცავ. ამ პეტიციით კი – ვითხოვთ მზის აკრძალვას, – ამაყად განაცხადა ქალბატონმა.

– მზის? – ჯონათანს გაოგნებისაგან სუნთქვა შეეკრა, – როგორ?... რატომ უნდა აიკრძალოს მზე?

ქალმა ახედა ჯონათანს და თავის მართლება სცადა:

– მესმის რომ ოდნავ უცნაურად უღერს, მაგრამ ნუთუ ვერ ხვდებით, რა ზიანი მოაქვს მზეს სანთლებისა და ქურქების მწარმოებელთათვის. თუ ადამიანს სითბო და შუქი აქვს, ის ქურქსა და სანთელს აღარ იყიდის. რასაკვირველია, გესმით, რომ მზე სითბოსა და შუქის იაფი უცხოური წყაროა. ამასთან შეგუება აღარ შეიძლება!

– მაგრამ, მზის სითბო და შუქი ხომ უფასოა? – შეედავა ჯონათანი.

მისმა შენიშვნამ ქალი ერთობ გაანაწყენა.

– ნუთუ ვერ ხედავთ, რომ პრობლემაც სწორედ ეგაა? – შესჩივლა მან, ხელში ბლოკნოტი და კალამი აიღო და შეეცადა, რაღაც გაანგარიშებებით აეხსნა ჯონათანისთვის საკუთარი პოზიცია, – ჩემი გამოთვლებით, მსგავსი უხელოური წყაროების დაბალი თვითღირებულება და ხელმისაწვდომობა, სულ მცირე, ორმოცდაათი პროცენტით ამცირებს პოტენციურ დასაქმებასა და ხელფასებს – კერძოდ, იმ დარგებში, რომლებსაც მე წარმოვადგენ. შექმნილ ვითარებაში ყველაზე სწორი იქნებოდა ფანჯრებზე გადასახადის გაზრდა ან მათი სრული აკრძალვა.

ჯონათანმა პეტიცია მფლობელს დაუბრუნა.

– მაგრამ თუ ხალხს სითბოსა და შუქში ფულის გადახდა მოუწევს, მათ აღარ ექნებათ საკმარისი თანხა სხვა ნივთების, მაგალითად, ხორცის, სასმელის ან პურის შესაძენად.

– არც ყასაბთა, არც ლუდის მხარშველთა და არც ხაბაზთა წარმომადგენელი არ ვარ, – უკმეხად უპასუხა ქალმა. მან შეატყო, რომ ჯონათანმა აშკარად შეიცვალა პოზიცია და პეტიცია მყის გამოართვა ხელიდან.

– ცალკეულ მომხმარებელთა ახირება აშკარად უფრო გადარდებთ, ვიდრე გარანტირებული სამუშაო ადგილებისა და სწორი კაპიტალდაბანდების დაცვა. კარგად ბრძანდებოდეთ – თქვა ქალმა და უხეშად შეწყვიტა საუბარი.

ჯონათანი მაგიდას გასცილდა: მზის აკრძალვა?, – ფიქრობდა ის, – რა სულელური აზრია! ჯერ ნაჯახი და სურსათი აკრძალვს, ახლა კი მზე. ნეტავ შემდეგი რა იქნება?